ოქმი:**ო12.37221491**

თარიღი:**29/05/2022**

ოქმი № 12

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

2022 წელი, 27 მაისი

ქ.ოზურგეთი

12.00-13.00 საათი

თავმჯდომარეობდა: ქეთევან ხომერიკი - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები : მ. ვაშალომიძე, ხ. თავდიშვილი, ნ. სარჯველაძე, მ. ვაშალომიძე, ბ. მელუა, ნ. ქარჩავა,ვლ. ხავთასი, ხ.ცერცვაძე, მ.ჩხიკვიშვილი .

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 დეკემბრის N 17 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: ქ. ხომერიკი

თანამომხსენებელი: გ. ჩავლეშვილი

სხდომის თავმჯდომარემ, ქ. ხომერიკმა. მოკლედ ისაუბრა მუნიციპალიტეტის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ, ხოლო თანამომხსენებელმა გ. ჩავლეშვილმა, კომისიის წევრებს დეტალურად გააცნო -ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტში შესატანი ცვლილებები, რომელსაც მოჰყვა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ზრდა 57.47 მილიონ ლარამდე, რაც ოზურგეთის მუნიციპალიტეტისათვის უპრეცენდენტოა, შემდეგ კონკრეტულად ისაუბრა იმ მუხლებსა და პროგრამებზე, რომლებშიც შევიდა ცვლილებები და დამატებები, კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს პროექტის საკრებულოსა და ბიუროს სხდომებზე წარდგენას განხილვა-დამტკიცების მიზნით.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი პროექტი-„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 დეკემბრის N 17 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ წარდგენილ იქნას საკრებულოსა და ბიუროს სხდომებზე განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

ქეთევან ხომერიკი

განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი